

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595155500

N 382
27/09/2018

382-07-3-201809271135



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით **გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ს**:

ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა განაპირობა მიმდინარე წლის 31 აგვისტოს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლი 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამ, სადაც მცირდება საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფლებამოსილებები, ფუნქციების შემცირებიდან გამომდინარე საჭიროა საკრებულომ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რათა ხელი არ შეეშალოს მოქალაქეთათვის ინფორმაციის დროულ მიწოდებას.

შემოთავაზებული ცვლილებები მიზნად ისახავს, უფრო ეფექტურად, დროულად და სრულყოფილად ვუზრუნველყოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება ვებ-გვერდის მეშვეობით. აღმოიფხვრას პრობლემა, რომელიც დღემდე არსებობს, ვებგვერდზე დროულად განთავსდეს საკრებულოს მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, დადგენილების პროექტში გათვალისწინებულია რამდენიმე ცვლილება, რომელიც ემსახურება ფუნქციათა დახვეწას რედაქციული თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ცვლილებებით დახვეწილი და გამიჯნული იქნება კომპეტენციები, ასევე დადგენილება დაიხვეწება სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით. ამასთან, ხდება საკრებულოსა და მერიას შორის, კომპეტენციების მკაფიო გადანაწილება და ოპტიმიზაცია.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი ბიუჯეტიდან. გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ვერიკო კვირკველიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

დ) პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

ვერიკო კვირკველია

ვერიკო კვირკველია

კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2018 წლის სექტემბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების
მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ცნობა

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების
მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2018 წლის ----- ოქტომბრამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი), ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2018 წლის ოქტომბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილების (ვებგვერდი 18/08/2014წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.112.016175) პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება“ მეექვსე მუხლში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

- ა) მეექვსე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ“ პუნქტი:
„ფ) მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე საკრებულოს შესახებ ინფორმაციის განთავსება;“
 - ბ) მეექვსე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ“ პუნქტი:
„ქ) საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ვებგვერდზე გამოქვეყნება;“
 - გ) მეექვსე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ღ“ პუნქტი:
„ღ) ვებგვერდზე შემოსული წინადადებებისა და წერილების სისტემატიზაციას და გადაცემას საკრებულო თავმჯდომარისთვის;“
 - დ) მეექვსე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ“ პუნქტი:
„ყ) საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და სელექციას.“
- მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე